ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 45 თებერვალი 26, სამშაბათი 1891 თებერვალი 26, სამშაბათი № 45


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალ-კე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 თებერვალს.

**გაზეთი „ივერია“ პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.**

## ივერია

**გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.**

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 თებერვალს,

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულ თეატრის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**ორ-ცოლიანი**

კომედია 2 მოქმ.

II

**ლინბაზი**

ვოდ. 1 მოქ. ცაგარლისა

III

**ადვოკატთან**

კომედ. 2 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვისა, აჯელოვისა, გუნია, სვიმონიძე, განდელაკი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** საფინანსო კომისია ქალაქის საბჭოსი, როგორც ისმის, დიდის ყურადღებით მოეკიდა ამ წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის საქმეს. კომისია უფრო ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირების შეკრება-შეკვეცაშია თურმე: ქალაქის თავს კომისიამ მოუჭრა ასი თუმანი, ასე რომ შემდეგისათვის იანგარიშეს 700-ის მაგიერ—600 თუმანი წელიწადში; გამგეობის წევრთ 300 ის მაგიერ—200 თუმანი და საბჭოს მდივანს, რომელიც დღემდე 240 თუმანს იღებდა—კომისიამ განუწესა მხოლოდ 120 თუმანი წელიწადში; ამასთანავე ისიც დასძინა, რომ, თუ საბჭოს მდივანი გამგეობის საქმების წარმოებასაც თვალს ადევნებს, იმ შემთხვევაში კიდევ 60 თუმანი მიემატოს წელიწადშიო.

თუ ესე მიჰყვა კომისია ხარჯების შემცირებას, ჯერ კიდევ წინ ბევრი რამ ექმნება შესამცირებელ-შესამოკლებელი.

*** ქალაქის ტეხნიკები ხშირად აურთხილებენ მცხოვრებლებს, რომელთაც მეტად დაძველებული სახლები აქვთ, მაგრამ პატრონები ყურსაც არ იბერტყავენ. ამ შემთხვევაში ტეხნიკები პოლიციას მიჰმართავენ ხოლმე შემწეობისათვის: აცნობებენ ესა და ეს სახლი მეტად დაძველებულია, ძალა იხმარეთ პატრონმა დაანგრიოს, რათა თვითონვე არ დაინგრეს და პატრონიცა და მდგურნიც ქვეშ არ მოიყოლიოსო. აი ამ დღეებშიაც ნიკოლოოზის ქუჩაზედ სწორედ ამის მაგალითი იყო: ვილაც ფიდოტოვის სახლი მეტად მიძველებულა; ქალაქის ტეხნიკს უთქვამს კედლი უნდა დაინგრესო; ეს გარემოება პოლიციისათვისაც უცნობებიათ, მაგრამ არც პირველს და არც მეორეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. კიდევ კარგი, კედელი ისე ჩამოინგრა, რომ უბედურება არ მოხდარა.

*** საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ხორცისა და პურის ნიხრის საქმე გამოიკვლიოს, შაბათს 23 თებერვალს, მოუწვევია ამ საქმის მცოდნე კაცნი და ბჭობა თათბირი ჰქონიათ ერთად. კრებაზედ მოუწვევიათ: ქალაქის შემოსავალთა ბიუროს აგენტი ალიხანოვი, ევჰრობის ზედამხედველი ქალაქისა კორინთელი, ბეითალი ისპანდიაროვი, ბაზრის ზედამხედველნი: იოსავა, სიმონოვი, ედიგაროვი და ბასტურიძე; ქალაქის მოქალაქე ავეტიქა იმხანოვი; უსტაბაშები: დაბლების ამქრისა—ავეტიქა პაპოვი, მექუდეებისა—სერგო კაკაკოვი და დალალები საქონლის ხყიდვა-გასყიდვისა ოჭანესა მოილოვი და არტემა ზახაროვი.

ამათ თანადასწრებით კომისიას ჯერის უანგარიშია, თუ რა ხარჯი აქვს ყასაბს ხორცისა. ამის საანგარიშებლად ქალაქის მეყასბეებში ამოურჩევიათ შვიდი ისეთი ყასაბი, რომელნიც ყველაზე მეტს საქონელს ხოცავენ, და ისე უანგარიშნიათ ხარჯი ხორცისა. საშუალო ანგარიშით წელიწადში ყასაბი დაჰხოცავსო: მსხვილ-ფეხ საქონელს 1500 სულს, წვრილ-ფეხს—2000 სულ. ამაზედ ეხარჯებათ:

| | |
| --- | ---: |
| ა) ჯამაგირი დამკვლელს და დახოცილის საქონლის გადმოტანა საკლავ ადგილიდამ წელიწადში | 816 მ. |
| ბ) დუქნის ქირა | 1200 „ |
| გ) 4 ნოქარი და მათი სმა-ჭამა | 1200 „ |
| დ) სავაჭრო დოკუმენტები | 36 „ |
| ე) დუქნის შეკეთება და განათება | 60 „ |
| სულ წელიწადში | 3312 |

საქონლის შენახვა პატრონს დაუჯდებაო,—უანგარიშია კომისიას—ზაფხულში 7 თთვეს 210 მან., ზამთრის 5 თთვეს—240 მან. სულ 450 მან. ამ გვარად თითო ყასაბს სულ წელიწადში ხარჯი აქვს 3762 მან. ხორცისა.

ეხლა რა ფასად ჰყიდულობს საქონელს ყასაბი: 1500 სულიდამ იანგარიშეს, რომ 300 სულს ყასაბი იყიდის ჩერქასის ჯიშისასაც და თითოში მისცემს 55 მან. ე. ი. სულ 16,500 მანეთს, და დანარჩენ 1200 თავს ადგილობრივის ჯისასას, თითოს 22 მან. ე. ი. სულ 26,400 მანეთისას. ჩერქასის ჯიშის ხარიდამ წმინდა ხორცი გამოდის 16 ფუთი, ადგილობრივის ხარისა-კი—8 ფუთი; ამ გვარად სულ იანგარიშეს 15 ათას ფუთამდე ხორცი 42,900 მანეთისა. ცხვარი იძლევა 1 ფუთ ხორცსა, ე. ი. წელიწადში 2000 ფუთი; მაშასადამე სულ მსხვილ და წვრილ-ფეხა საქონელი წელიწადში იძლევა ჩვიდმეტი ათასამდე ფუთ ხორცსა. 3762 მან. რომ 17 ათას ნაწილად გავჰყოთ, გამოდის, რომ ფუთ ხორცზედ ყასაბს ხარჯი აქვს 22 კაპ.

კომისიამ ისიც იანგარიშა, რომ ყასაბი ხორცის გარდა, იღებს კიდევ ტყავს, ქონს, საქონლის თავ-ფეხს, ტვინს და სხვ. ამისა იანგარიშეს სულ 13.440 მანეთი. 42,900 მანეთიდამ რომ გამოვიდეთ ეს ფული, შესდგება 29.460 მან. 15 ათასზე რომ გავყოთ, გამოდის, რომ ყასაბი ჰყიდულობს ფუთ ხორცს 1 მან. 96 კაპ.

ქალაქს აძლევს ხარჯს სულზედ სამ აბაზს, ე. ი. სულ 900 მან.; ფუთზედ გამოდის 6 კაპ.

კომისიამ საბოლოოდ აი რა დაადგინა: ა) ყასაბს ეხარჯება ფუთ ხორცზედ 22 კაპ.; ბ) ჰყიდულობს ფუთ ხორცს 1 მან. 96 კაპ.; გ) ქალაქს აძლევს ხარჯს—6 კაპ., სულ ფუთი ჰღირს 2 მან. და 24 კაპ., ანუ გირვანქა $5_{,6}$ კაპ.

კომისიის წევრის, ბ-ნ მ. მაჩაბლის წინადადებით, დღეს, 26 თებერვალს, კომისიამ უნდა სცადოს საყასბოზედ მართლა იმდენი დაჯდება, თუ არა, ფუთი ხორცი, როგორც იანგარიშა ამ კომისიამ.

*** ერთს ძველის წიგნების მოქვა-

## ფელეტონი

### აბრეშუმის ცხვირსახოცი

I

ვინც ზაფხულობით ტფილისში დარჩენილა, მარტო ის იგრძნობს, რა გემო აქვს აქაურს სიცხეს. თერთმეტ საათამდის კიდევ შეიძლება კაცმა თავი გარედ გამოჰყოს და, თუ საქმე აქვს, ისაქმოს; შემდეგ-კი ღმერთმა დაიფაროს ყველა სულდგმული. ყველგან სიცხის ბული ტრიალებს. სიცხეს კიდევ ჯანი და სული წაუვიდეს, ამაზე ხმას ვინ ამოიღებდა, რომ სიცხესთან სხვა სენი არა სჭირდეს ტფილისს. ავის სუნითა და მტვერით ჰაერი ისეა მოწამლული და გასხელებული, რომ კაცს სუნთქვას უხუთავს; სუნთქვის დროს ჰაერის მაგივრად, გეგონებათ, ცხელი ტყვია მხვდება გულღვიძლშიო. მტვერი და ტფილისი ისეა დაკავშირებული ჩემ გონებაში, რომ ერთის ხსენებაზე უეჭველად მეორე უნდა მომაგონდეს. თუ ტფილისი ახსენა ვინმემ ზაფხულობით მაშინვე მტვრის ნისლი და ბული მომაგონდება, ის ნისლი და ბული, რომლითაც მოცულია ტფილისის არე-მარე.

აი ამისთანა მდგომარეობაში იყო ტფილისის ჰაერი, როცა ამ რამდენისამე წლის წინად პირველად ვესტუმრე ქალაქს. რადგანაც სულ ერთის კვირის სტუმარი ვიყავ, ამიტომ გაფაციცებული დავდიოდი და ჩემს თავს მოსვენებას არ ვაძლევდი; დილიდგან მოკიდებული საღამომდის ჩემი ფეხი არ ჩაიდრიკებოდა. მინდოდა ტფილისის ყველა კუნჭული მენახა, გავეცნო და ისე წავსულიყავ.

შუა დღე იქნებოდა. მზე ტფილისისკენ უხვად ისროდა ცეცხლის ისრებს. როგორც საკირიდგან, ცეცხლის ალი ისე ასდიოდა ქალაქს.

ავლაბრისკენ მივეშურებოდი. აღმართს შევუდექი. სიცხემ და მტვერმა რო ძალა დამატანა, ერთის სახლის კედელს ავეტუზე; კედლის ჩრდილი ძლივს მფარავდა. ამ დროს ისე ვიყავ დარეტიანებული, რომ არ ვიცოდი, სად ვიყავი და სად არა. ვიდექ ასე გაშტერებული და თვალებს აქაიქ ვაცეცებდი... არ ვიცი ვფიქრობდი რასმე მაშინ, თუ არა; ხშირად მოუვა ხოლმე კაცს ასე: ჰგონია ეფიქრობო, მაგრამ ანგარიში რომ მოსთხოვოს თავის თავს და ჰკითხოს: რასა ჰფიქრობო, პასუხს ვერ მოაცემს. აი სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვიყავ მაშინ.

ამ გამოურკვეველ მდგომარეობიდგან გამომიყვანა უცნაურმა ხველამ. მივიხედე, საიდგანაც ხველა მომესმა, და დავინახე თავ-თავქვე მომავალი ცამეტისა თუ თოთხმეტის წლის ძონძებში გახვეული, ფეხ-შიშველა და თავ-ახდილი ქალი; ქალს ზურგზედ კარგა მოზდილი კოკა ეკიდა. იმისმა მონაზებულმა სახემ, ტანჯვით სავსემ, ძალა-უნებურად მიმიზიდა, და თვალი ველარ მოვაშორე. რამდენადაც დამიახლოვდა და დავუკვირდი იმის მეტყველ სახეს, იმდენად უფრო მიიპყრო ჩემი გონება, იმდენად უფრო გულს ჩამწვდა... კუპრივით შავი თვალები, გრძელი ისრებივით გადაჭიმული წარბები, დაუვარცხნელი, ცოტათი მოყვითანო თმა, რომელიც მხრებზე გადაჰფენოდა და გარს ეხვეოდა იმის ლოყებს, მშვენებას უმატებდა ამ ქალს. ისე გამოიცქირებოდა ძონძებში, როგორც წვიმის შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტა ღრუბლებში მთვარე გამოიცქრება ხოლმე... აი დამიპირდაპირდა. ერთი ნაბიჯი წინ წავსდგი, მინდოდა ხმა გამეცა, მაგრამ, როცა მძიმედ ასწია თვალის ქუთუთოები და მძიმედვე გადმომხედა, მაშინვე ენა მუცელში ჩამივარდა და ადგილიდგან ველარ დავიძარ. ქალმა ჩაიარა. მე ასე გაშტერებული ვიდექი და ვუმზერდი მიმავალს. ცოტათი რომ დამშორდა, უკან მოიხედა და უკან-უკან ცქერით მიდიოდა. ალბად, უნდოდა გაეგო, ასე გაშტერებული რად დამაცქერდაო. საწყალმა, ჩემს ცქერაში ფეხი ქვას წამოჰკრა და პირ-ქვე დაეცა; კოკა-კი წინ გაგორდა და ლუკმა-ლუკმად იქცა.

ქალი ჩქარა წამოდგა და კოკის ნამტვრევებს დააცქერდა. დიდხანს იდგა ისე; მერე მე შემომხედა. რა არ იხატებოდა იმის თვალებში! საყვედურიც, ჩემდა მომართული, სირცხვილიც და შიშიც. დამნაშავედ დავსახე ჩემი თავი და საჩქაროდ მივედი ქალთან.

— ქალო, ხომ არა იტკინე რა?

პასუხის მაგივრად, შიგ თვალებში ჩამაცქერდა და ისე დამიწყო ყურება, თითქო ჰსურს შეიტყოს გულ-წრფელი იყო ჩემი სიტყვები თუ არა. მე ვერ გავუძელ ამ ცქერას და რაღაც ნაირად ტოკვა დავიწყე.

— ნეტავი თავი გამეტეხნა და კოკა-კი არ გატეხილიყო, მითხრა მან ბოლოს.

— შენს პატრონს განა კოკა შენზე ძვირად ულირს?

— მგონი, თავი რო გამეტეხნა, დედაჩემი ხმას არ გამცემდა, ეხლა-კი, ვინ იცის, ცემით ტყავი გამაძროსო.

ამ სიტყვებთან ერთად კოკის ყურს დაეწოდა და ხელში აიღო. რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა, ამოიხრა და შორს სტყორცნა. ამ დროს შევნიშნე, რომ ხელის გულიდგან სისხლი სდიოდა.

— ეგ რა არის, ქალო? ვკითხე და მივაქციე მისი ყურადღება სისხლს.

ქალს სისხლი არ შეენიშნა. დაიხედა ხელის გულზედ და მერე ისე მომცა პასუხი.

— ხელის გული გადამგლეჯია, დინჯად მიპასუხა და კაბის კალთა გადიხვია.

ჯიბიდგან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოვიღე, სხვა თან არ გამამყოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულს შეუძენია ერთი რუსული წიგნი „საქართველოს საეკკლესიო ისტორია“; დაბეჭდილია 1825 წ. პეტერბურგში. ბოლოში ამ წიგნს დამატებული აქვს კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელ კომისიის დაფუძნების ამბები. ამ დამატებიდამ სჩანს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ოსეთისაკენ ბევრი ქართველი მქადაგებელი ყოფილა და ეს კომისიაც რუსეთში ქართველ ეპისკოპოსების ხელმძღვანელობით დაფუძნებულა.

*** ჩვენმა კინტოებმა ერთი ახალი ხერხი კიდევ მოიგონეს ადვილად ფულის შოვნისა. კინტოები დადიან ქუჩა-ქუჩა, მკლავზე წითელ ხელსახოც გადაგდებულნი, უჭირავთ ხელში თითო ყვითელი ბეჭედი, ვითომდა ოქროსი, და, რაც შეუძლიანთ, ჰფერავენ ხელსახოცით, გამვლელ-გამომვლელის წინ აგდებენ უეცრად ბეჭედს ძირს და იღებენ ისევ სწრაფად ხელში და თან ხმა მაღლა ამბობენ: „შე ოხერო, ძლივს გიპოვნე და ისევ მეკარგებიო“. შემდეგ მიუბრუნდებიან გამვლელს, ან ქუჩას პირად მდგომს და ეუბნებიან: ბეჭედს არ იყიდიო, ვიპოვნეო, ჩემთვის ოქროს ბეჭედი საჭირო არ არის, მე ფული მინდაო და, თუ გინდა, იაფად მოგცემო. თუ შეატყეს, რომ ხამი კაცია, ბეჭედს ოთხ-ხუთ მანეთად უფასებენ და შემდეგ რამდენსამე მანეთს სჯერდებიან. ბეჭედი არის სრულებით უბრალო თითბერი, ბრჭყვინავს ოქროსავით და ღირს სულ ორი-სამი შაური, ან ისიც არა. მუშა ხალხს, ბერძნებს და სხვებს, ვისაც არა მგონია, შეუძენიათ ეს ბეჭედი, წამოუცვამთ ხელზედ და ჰგონიათ ოქროს ბეჭედი გვაქვსო.

*** სპარსეთის ელჩის მირზა მაჰმუდ ხანის ტფილისში ყოფნის დროს სხვათა შორის წარუდგნენ მის წინაშე საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ზოგიერთა წევრნი და აბრეშუმის მოყვანის პროფესორი ლეონიდ ბეზანო, რომელმაც სპარსეთის ელჩს მოახსენა, რომ ძმანი პასხალნი, რომელთაც სტამბოლსა, ბრიუსელსა და ბევრგან სხვაგან ევროპაში აქვთ აბრეშუმის მოსაყვანი სახლი, ხოლო ამ სახლების დირექტორი მე ვარო, დეპეშით მაუწყებენ, რომ ერთი ნაწილი იმათ საბრეშუმო სახლების გრენისა მივცე საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და დანარჩენი გავრცელო სპასეთშიო. ამასთან ბ-ნმა ბეზანომ მოახსენა ელჩს, რომ პირველად აბრეშუმის თესლის გასავრცელებლად ქალაქი რეშტი ვამჯობინეო. სპარსეთის ელჩმა სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ-ნ ბეზანოს მადლობა გადაუხადა და ამ თვის 23, ღამის საფოსტო მატარებლით თან წაიყვანა ბაქოს, ხოლო იქიდგან ორივენი რეშტს გაემგზავრებიან.

*** გუშინ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ დეპეშა მიიღო განჯიდგან, რომ ამ თვის 23 სადგურ ელისავეტპოლში მატარებელ ქვეშ ქარმა ჩააგდო ვიღაცა მაჰმადიანი, რომელიც თვლებმა სულ ლუკმა-ლუკმა აქციაო. ამას გარდა ქარს მრავალ სადგომისათვის სახურავები აუგლეჯია და ერთ ვერსამდე წაუღია.

*** დღეს დილით ტფილისის დედათა გიმნაზიის სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთის დახმარების საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა წარსულის 1890 წლის განმავლობაში. ეს საზოგადოება მეექვსე წელიწადია არსებობს და ფრიად სასარგებლო საზოგადოებაც არის. საზოგადოებას აზრად აქვს დაეხმაროს თავის წევრთ გაჭირვებაში: უშოვოს საქმე და სამუშაო, ასესხოს ფული, მისცეს შემწეობა ფულით ერთ-ხანად ან რამდენისამე ხნის განმავლობაში და სხვ. საზოგადოებას გამართული აქვს თავისი კანტორა (ბარონის ქუჩა, სახლი კალოუბნელისა), სადაც მოთავსებულია წიგნთ-სამკითხველო და წიგნთ-საცავი, სადაც წევრთ შეუძლიანთ იკითხონ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ან არა და სახლში წაიღონ წიგნთ-საცავიდამ საკითხავი წიგნები უსასყიდლოდ. საზოგადოება იბარებს ყოველ წლივ თითქმის ათის თუმნის ჟურნალებსა და გაზეთებს და ჰყიდულობს ოცის თუმნისა და ხშირად უფრო მეტის ახალს წიგნებსა. საანგარიშო წელს, როგორც ანგარიშიდამ სჩანს, დაუხარჯებიათ 91 მან. ჟურნალ-გაზეთები, ხოლო ახალი წიგნები შეუძენიათ 270 მან. ბევრს უსასყიდლოდაც შეუწირავთ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, როგორც მაგალითად ნ. მიხაილოვსკის უსასყიდლოდ გამოუგზავნი თავისი თხზულებანი საზოგადოების წიგნთ-საკითხავისათვის.

საზოგადოებასვე აქვს ხოლმე გამართული თითქმის ყოველ-წლივ კურსები ფრანგულის ენის სწავლის მსურველთათვის. ჰმართავს აგრეთვე ლექციებს სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნის შესახებ. საზოგადოების თავსმჯდომარეა კნ. ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი; წევრნი გამგეობისანი არიან: დუმანსკის ქალი, კლაუსისა, კარპუხოვისა, ბახმეტიევისა და იაკოვლევისა. ხაზინადრად არის არჩეული მანუჩაროვის ქალი, ხოლო მდივნად არღუთინსკი-დოლგორუკისა.

საანგარიშო წლის გასულს, ესე იგი 1891 წლის 1-ლ იანვრისთვის საზოგადოებას ჰყოლია 5 საპატიო წევრი, 30 დამხმარებელი, 8 თანამშრომელი, 174 ნამდვილი, სულ 217. 46 წევრისათვის უშოვია წლის განმავლობაში საზოგადოებას საქმე და სამუშაო. საზოგადოებას აქვს სახეში გაჰმართოს ტფილისში სკოლა სამის განყოფილებით: რუსთა, ქართველთა და სომეხთათვის ამ სკოლისათვის საჭიროა 1500 ან. ამ ფულიდამ საზოგადოებას უკვე აქვს მოგროვებული 539 მან. 37 კაპ. შემოსავალი სულ ჰქონია 4210 მან. 44 კაპ. ხარჯი აღრიცხვით კი 3200 მანეთზე მეტს არ მოელოდა, ასე რომ ნამდვილმა შემოსავალმა აჯობა მოსალოდნელს 1010 მან 44 კაპიკით. დაუხარჯავს წლის განმავლობაში 2269 მან. 19 კაპ.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი, როგორც „Тифл. Листокъ“-ს შეუტყვია თებერვლის ოც-და-ოთხს აპირებს პეტერბურგიდგან კავკასიაში დაბრუნებასა.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისში მოვიდა შინაგან საქმეთა „მინისტრის“ ცირკულიარი იმ პოლიციელ მოხელეთა დასაჩუქრების გამო, რომელთაც ჩინი არა აქვთო: სამსახურის ერთგულ პოლიციელს მიეცემა ჯილდოდ ვერცხლის მედალი, ხოლო, თუ თავი გამოიჩინა რაშიმე — ოქროს მედალიო.

*** ჩვენ მივიღეთ თიანეთიდამ თიანეთის ბლაღოჩინის მღვდლის ი. კოშორიძის მიერ შეკრებილი 48 მან. 30 კაპ. დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა იყო დღემდე 1550 მან. 2 კაპ. ამიანათ შესდგა 1598 მან. 32 კ.

*** შარშან იელისში ლამისყანის საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი ხსენებულ საზოგადოების შუა სოფელში სასოფლო სკოლის გამართვის თაობაზედ. მაგრამ, რადგან ხალხს არა ჰქონდა ისეთი შენობა, სადაც მასწავლებელი და სკოლა მოთავსებულიყო, ამისთვის ეს წადილი აუსრულებელი დარჩა. მხოლოდ გადასწყვიტეს 1891 წლიდგანვე გადაიხადოს თითოეულმა კომლმა გლეხმა წელიწადში 2 მანეთი და 50 კაპეიკი, შეიტანონ ეს ვალი ხაზინაში და, როდესაც ორის წლის განმავლობაში შესდგება 710 მან., გაჰმართონ სასწავლებელი. ეს გლეხთა განაჩენი და გადაწყვეტილება უკვე წარდგენილა, სადაც ჯერ იყო, დასამტკიცებლად. (გაზ. „Нов. Обозр.“)-ს.

*** საბოლოოდ გადაუწყვეტიათ, გაიყვანონ რკინის გზის შტო ბორჯომამდე. განზრახვა აქვთ, რომ ბორჯომში დიდი ქარხანა გაჰმართონ ხე-ტყის სახერხადო. („Нов. Обозр.“-ს)

*** ამ თვის 24 პოლიციის მეექვსე ნაწილში ტონჩიჩაშევმა გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ ალი-ოღლიმ 105 მანეთად ღირებული ხალიჩა მომპარაო. ქურდი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს, დილის 11 საათზე, ლავრენტი პოლიენკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა დამ, ქვრივმა ანნა გორჟენეცისამ, რომელიც შტაბის მოხელეს ბოროდინსკისთან სცხოვრობდა, 23 ამ თვისას თავი მოიწამლაო. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს. თავის მოწამვლის მიზეზი გამოჰკითხეს, მაგრამ ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა.

## წერილი მოსკოვიდამ

არა ერთხელ თქმულა რუსეთის მწერლობაში. რა სიღარიბესა და სილატაკეს ითმენს რუსეთის სტუდენტობა. კერძოდ ჩვენს მწერლობასაც მიუქცევია მკითხველის ყურადღება ქართველ მოსწავლეთა გაჭირვებულ მდგომარეობისათვის რუსეთში. რუსეთის გაზეთებმა წელს კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ამ საგნის შესახებ და გამოააშკარავეს გულ-საკლავი სურათი სტუდენტების გაჭირვებულის ცხოვრებისა. გაზეთები თხოულობდნენ საზოგადოებისაგან მიშველებას და მოსწავლე ახალთაობის განსაცდელისაგან დახსნას. ეს, ვგონებ, „ივერიის“ მკითხველებსაც კარგად ეცოდინებათ. თქვენს გაზეთში ამას წინად მოყვანილი იყო გაზ. „Рус. Вѣд.“-ის ერთი-ერთი წერილი სტუდენტების შესახებ. მწერლობის ღაღადი გაგონილ იქმნა და არ დარჩა უშედეგოდ: მაგ. მოსკოვში მოკლე ხნის განმავლობაში საკმაო თანხა შეიკრიბა, როგორც შეუძლო სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების კასსაში, აგრეთვე გაზეთების რედაქციებში ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. მოსკოვს მიჰბაძეს რუსეთის სხვა ქალაქებმა და იქიდამაც-კი იგზავნებოდა შემოწირულებანი სტუდენტების სასარგებლოდ. ამ გვარად, იმ სტუდენტებს, რომელნიც უნივერსიტეტში სწავლის ფულის შეუტანლობის გამო უნდა გამორიცხულიყვნენ, მიეცათ საშუალება სწავლის განგრძობისა. ამას გარდა ყველას, ვინც-კი ითხოვა, უფასო სადილებიც მიეცათ და კიდევ სხვაფრივაც აღმოუჩინეს შემწეობა გაჭირვებულ და უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდნილან სტუდენტობას. რაღა თქმა უნდა, რომ ბევრნი ჩვენ ქართველ სტუდენტებ შორისაც არა ერთხელ ჩავარდნილან ამისთანავე გაჭირვებულ მდგომარეობაში. ხშირად უარესი დღეც დაადგებათ ხოლმე. ჩვენის გაჭირვებულის სტუდენტის მდგომარეობა მით უფრო გულ-საკლავია, რომ შველა და შემწეობა არსაიდამ მოელის, რომ ჩვენი საზოგადოება, როგორც ყოველ საქველ-მოქმედო საქმეში, ამ შემთხვევაშიც გულ-ციებად შეჰყურებს თავის ახალგაზდა თანამემამულეებს, რომელნიც ერთ-ერთ უმთავრეს ძალას და ხალხის მომავალ იმედს უნდა შეადგენდნენ. თუ ჩვენი საზოგადოება იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ ერთ ხანად შემწეობა მაინც არას უშველის ღარიბს მოს-

---

და, და, ქალი უარზე იყო, მაგრამ მაინც შევუხვეე.

— გმადლობ!.. გრძნობით მითხრა მან და ღრმად ჩაფიქრდა.

დიდს სიამოვნებასა ვგრძნობდი. ხმის ამოუღებლივ შევცქეროდი და ვნატრობდი, რომ ჩქარა არ წასულიყო.

— გმადლობ, ყმაწვილო! მითხრა კიდევ და წასვლა დააპირა.

— არ შეიძლება, მითხრა, კოკა რა ღირს?

არ ვიცი, მაგრამ რად გინდა გაიგო ფასი?

— ისე! ვუპასუხე და ფული მივაწოდე.

ქალს თვალები გაუბრწყინდა. სახეზე სიხარულმა გადუარა. იდგა ისე და შემომცქეროდა. სახეზედ სიამოვნების ალმური ასდიოდა. „ამ ოხერ ფულს რა არ შეუძლიან! ფული რო დაინახა, როგორ სიხარული შაეტყო“! ძალა უნებურად გავიფიქრე.

— რატომ არ გამომართმევ, აჰა!

— ყმაწვილო, ფული ისევ ჯიბეში ჩაიდე, მე მაგას არ გამოგართმევ, დამიჭირა ქალმა მარცხენა ხელი და მაგრად მომხვია ორივე ხელები.

„პატარა ხარ, მაგრამ კუდიანობა-კი დიდი გაქვს. გინდა რომ შეგეხვეწო“, ვიფიქრე კიდევ, რადგანაც იმისი სიხარული ფულის დანახვაზედ სულ არ შეესაბამებოდა იმის სიტყვებს.

— შენ იქნება გგონია, რომ ფულის დანახვა გამეხარდა?! არა მაგას ნუ იფიქრებო! თუ გინდა გაიგო, რა გამეხარდა, აი გეტყვი. აქამდე მე ვფიქრობდი, რომ ქვეყანაზედ ისეთი კაცი არ იქნება მეთქი, რომელსაც ჩემთვის გული შესტკივნოდეს, მაგრამ ეხლა-კი ვხედავ, რომ ყოფილა ისეთი კაცი; კაცი შენა ხარ.

— ძალიან ადრე მოგძულებია ადამიანი. ეხლა ხომ ნახე, რომ შენი გულ-შემატკივარიცა ყოფილა ქვეყანაზე, მაშ გამომართვი ფული, რომ დედაშენმა არა გცემოს.

— არა, მაინც არ გამოგართმევ. ფულიც რომ მივუტანო, დედაჩემი მაშინაცა მცემს და აბა ტყუილად შენ რაღად დაგაკლო.

— როგორ, ფული რომ მიუტანო, მაინცა გცემს?

— დიაღ.

— მეც რომ წამოვიდე და უთხრა, კოკა მე გავტეხე-მეთქი და ფული მივეცი, მაშინაცა გცემს?

— იქნება არა მცემოს!

— მაშ წავიდეთ!

— ოჰ, რა კეთილი გულისა ჰყოფილხარ? სიხარულით წამოიძახა და უფრო მაგრად მოჰხვია ხელები ჩემს ხელს.

— მაინც არა მჯერა, რომ კაცები მაგეთი კეთილი გულისანი იყვნენ, მე მგონია, შენც იმიტომ გაქვს კეთილი გული, რომ ჯერ ახალგაზდა ხარ. მარტო ახალგაზდებს უნდა ჰქონდეთ კეთილი გული, თუმცა ჯერ შენს მეტი არავინ მინახავს მაგეთი გულისა. განა, ჯერ ოცის წლისა არ იქნები?

— მე?! ჰო! და დავიწყე ჰოჰმანი. მართლაც მაშინ თვრამეტის წლისა თუ ვიყავი.

— აკი გეუბნები, მარტო ახალგაზდებს შეუძლიან შეიბრალონ კაცი. რამდენიც ხანში შედის ადამიანი, იმდენი თან და თან გული უქვავდება.

იმისმა ლაპარაკმა გამაკვირვა. ისე გონივრულად სჯიდა, ისე დარბაისლურად და წყობისად, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ ეს ცამეტის წლის არისო. იმისი გონებრივი განვითარება სრულებით არ შეესაბამებოდა მის წლოვანობას... ბევრს ჩვენს ვითომ მოზრდილს ქალებს შეჰშურდებოდათ იმისი ჭკუა-დამჯდარი ლაპარაკი... მაგრამ რას ვამბობ?!. განა ამ ვითომ ზრდილთ შეჰშურდებათ ვისიმე გონებრივი განვითარება?! რომ შეჰშურდეთ, ხომ კიდევაც ეცდებიან განვითარებას. იმათი საშურეველი საგანი მარტო ჩაცმა-დახურვაა, ტუალეტია და აკი კიდევაც ცდილობენ იმის შეძენას.

ლაპარაკით ავიარეთ აღმართი. ჩვენი ბაასი დედ-მამისა და შვილების ერთმანეთში მოთავსებას შეეხებოდა.

— რავქნა, მე კიდევ ვერ გამიგია! აი რამდენი რამა სთქვი დედმამის შესახებ, რამდენი მაგალითიც დამისახელე, რომ მშობლები დიდის ალერსით და სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ შვილებსაო, მაშ ეს დედაშენი რაღა გამოვიდა, რამ გაუქვავა გული, რომ ეგრე, როგორც შენ ამბობ, ცეცხლის ალში ჰყევხარ? ვკითხე ბოლოს.

— დედაჩემს რამ გაუქვავა გული?! ჰმ!..—ქალმა მწარედ გაიღიმა და ისე ამოიოხრა, რომ, გეგონებოდათ, გული თან ამოატანაო.—დედაჩემზედ ნუღარას მკითხავ. დედაჩემს დედას ვერ დავუძახებ. ის ჩემი დედა არ... არა, ვერ ვიტყვი! იქნება შენც შეგაშინოს ამ საიდუმლომ და ეხლავე თავი დამანებო!

— რა საიდუმლომ? დავეკითხე განცვიფრებული.

— გთხოვ, ნუღარას მკითხავ! შენ ხომ კეთილი გული გაქვს და ამ თხოვნის ასრულებას არ დაიზარებ, თორემ ამაზედ ლაპარაკი გულს მიკლავს... ეჰ!.. კიდევ ამოიოხრა და, სანამ სახლის კარებამდის არ მივედით, ხმა არ გაუცია. მეც გაჩუმებული გვერდით მივსდევდი და მთელი ჩემი არსება ამ ქალის შესახებმა ფიქრებმა აავსო.

— აი ჩვენი ეზოს კარები, აქეთ მოდი! მითხრა და შევიდა ერთ მინგრეულ ალაყაფის კარებში. მე მივყევი უკან. ეზო ძალიან უსუფთაო იყო: შუა ეზოში ერთი ვეებერთელა წუმპე იდგა, რომელსაც საშინელი ავი სუნი ასდიოდა. ეზოს სამი მხარე დაჭერილი იყო დაბალ, მინგრეულ-

წავლისო, თუ იგი საზოგადოდ უარჰყოფს კერძო ქველ-მოქმედებას, ეს, ჩემის აზრით, შემცდარი აზრია და ჯერ ჯერობით, ვიდრე ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა არ გამოიცვლება, ვიდრე ჩვენი საზოგადო წეს-წყობილება მთლად საფუძლიანად არ გარდიქმნება, ერთის სიტყვით ვიდრე კაცი ზნეობრივ არ განახლდება და მისი ბუნება მთლად არ გადასხვავერდება, მანამდე დიდი მნიშვნელობა ექნება კერძო ქველ-მოქმედებას. ყოველივე ესე მათქმევინა ერთმა გარემოებამ.

ყველამ კარგად იცის, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველი სტუდენტობა ამ ბოლო დროს ყოველ წელს ჰმართავს ქართულ საღამოებს. როგორ გგონიათ, განა რა აზრით ჰმართავენ ქართველნი მოსწავლენი ამ საღამოებს? ნუ თუ იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება, ზნე ჩვეულება, ყოფა-მდგომარეობა გავაცნოთ უცხო საზოგადოებას? არა, ჩვენ ამ საღამოებ თ ძლიერ მცირედ ვასრულებთ ამ დანიშნულებას. ჩვენი საღამოები იმართება საქველ-მოქმედო აზრით. ჩვენი სურვილია, ამით შემწეობა აღმოვუჩინოთ გაჭირვების დროს ერთმანეთს. თუმცა ეხლა თვით სტუდენტობაც კარგად ჰგრძნობს, რომ ამ საშუალებით ხელის გაწვდენა და შემწეობა ხელ-მოკლე ამხანაგებისა ძნელია: არა ერთხელ საღამო, ეს ჩვენი უმთავრესი წყარო შემოსავლისა, ხარჯს ძლივს დაჰფარავს ხოლმე. ეს ერთი, და მეორე კიდევ ის არის, რომ საღამოს გამართვისათვის ბევრი დრო და ძალა იკარგება ტყუილა-უბრალოდ და ეს კი ძლიერ ხელს უშლის სწავლაში სტუდენტობას, რომელიც აქ სამეცადინოდ და ცოდნის შესაძენად მოსულა და არა უნაყოფოდ დროს გატარებისათვის. მაინც მეტი ღონე არ არის და ქართველი სტუდენტობაც იძულებულია მიჰმართოს ამ ერთად-ერთ საშუალებას — საღამოების მართვას. წელს ამ გვარი საღამო გაიმართა ეგრედ წოდებულ თეატრში „XIX საუკუნე“ (შელაპუტინის სახლში) 16 ამ თთვისას. საღამო სამ განყოფილებად იყო: პირველ განყოფილებად წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის კომედია „ხანუმიდგან“ მესამე მოქმედება ორ სურათად. მიკირჩას და აკოფას როლები (პირველის როლი — ბ-ნმა ჩოლაყაშვილმა და მეორესი — ბ-ნმა თაზიშვილმა) რიგიანად შეასრულეს; მეორე განყოფილებად ქართულმა ხორომ ნაციონალურ ტანისამოსებში ორკესტრის აკომპანიმენტით სთქვა თორმეტი სხვა-და-სხვა ნომერი ჩვენის ხალხურ სიმღერებისა. ამ განყოფილებამ მეტად ასიამოვნა და დაატკბო საზოგადოება. აქ ბევრნი ცნობის მოყვარეობენ აღმოსავლეთის მოტივების გაგონებას, რადგანაც აღმოსავლეთის მუსიკა ძლიერ განსხვავდება ევროპიულ მუსიკისაგან. რამდენიმე სიმღერა საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქმნა ხოროს-მიერ. საზოგადოების ყურადღება მიიქცია და რამდენჯერმე გამოწვეულ იქმნა ბ-ნი კარგარეთელი (აღნიაშვილის ხოროში ყოფილი და ეხლა აქაურ კონსერვატორიაში მოსწავლე), რომელიც ზოგიერთ სიმღერებში მოძახილს ამბობდა. ხოროს მოჰყვა ცხოველი სურათები, რიცხვით ოთხი. პირველი სურათი იყო „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“. სამი უკანასკნელი სურათი ამოღებული იყო რჩეულოვის „თამარ ბატონიშვილიდგან“. საღამო დამთავრდა ლეკურით და შემდეგ-კი დაიწყეს როკვა, რომელმაც გასტანა ღამის სამ საათამდე. საზოგადოებაც დაიშალა დიდათ ნასიამოვნები.

გ. გ—ნი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Новое Время“-ში ამას წინად ყველა განათლებულის და შეგნებულის კაცისათვის ერთი ფრიად სამწუხარო და გულ-მოსაკლავი წერილი იყო დაბეჭდილი. ეს წერილი მოგვითხრობს სიგმირეს, პატიოსნებას, სიტყვის სიმტკიცეს ზოგიერთ იმ უმაღლესად განათლებულ კაცისას, რომელთაც უნივერსიტეტში გაუთავებიათ სწავლა და ცხოვრებაში პატიოსნად სამოღვაწეოდ გამოსულთ თან არა-პატიოსანი სახელი გამოუყოლებიათ. წერილი ზემოხსენებულ გაზეთისა გამოუწვევია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების 1890 წლის ანგარიშს. ამ საზოგადოებას კასსა აქვს დაარსებული, თანხა, რომელიც დიდის ვაითა და ვაგლახით არის შედგენილი, და ამ კასსიდგან ფულს აძლევს სესხად გაჭირებულ სტუდენტებს, ეხმარება იმ პირობით, რომ, როცა სწავლას შეასრულებთ და ადგილს იშოვით რასმე, ფულის მოგება შეგეძლებათ, ეს ვალი უკანვე დააბრუნეთ, რომ ახლა სხვა თქვენს თანამოძმე გაჭირებულთ აღმოვუჩინოთ შემწეობა და საშუალება მივცეთ სწავლის დასრულებისაო. ამაზედ უკეთესი პირობა შესაძლებელია-და? აქ გაჭირებულს ადამიანს იმის მეტი რა დარჩენია, რომ ორივე ხელით მოეჭიდოს ამ დახმარებას და საზოგადოებას დიდი, ძალიან დიდი მადლობა განუცხადოს, ვალი პირ-ნათლად გადუხადოს და, ამას გარდა, სხვა ფულიც შესწიროს, რომ საზოგადოებას უფრო მეტი ძალა და ღონე ჰქონდეს გაჭირებულ სტუდენტთა შველისა და დახმარებისა. ხომ ასეა? აბა ახლა ყური დაუგდეთ გაზ. „Новое Время“-ში დაბეჭდილ სიას უნივერსიტეტის მოვალეებისას. ამ სიიდგანა სჩანს, რომ სტუდენტებს

| წელს | ვალი გასესხებიათ | გადაუხდიათ | |
|---|---|---|---|
| 1880 . . . | 71,675 | 961 მ. ანუ | 1,3 % |
| 1881 . . . | 84,798 | 1,937 „ „ | 2,3 |
| 1882 . . . | 94,573 | 1,886 „ “ | 2 |
| 1883 . . . | 103,774 | 1,447 „ „ | 1,4 |
| 1885 . . . | 123,133 | 2,230 „ „ | 1,8 |
| 1886 . . . | 132,875 | 1,824 „ „ | 1,3 |
| 1887 . . . | 143,179 | 1,177 „ „ | 0,9 |
| 1888 . . . | 151,275 | 2,505 „ „ | 1,7 |
| 1889 . . . | 161,250 | 3,877 „ „ | 2,4 |
| 1890 . . . | 169,974 | 4,383 „ „ | 2,5 |

აი პაწია, მაგრამ მჭევრად მეტყველი საბრალმდებლო ოქმი ახალის თაობისა. 170,000 მან. გაუტანიათ, ხელიდგან წაურთმევიათ იმ ღარიბ მოსწავლეთათვის, რომელნიც ეხლა არიან გაჭირებულნი, და აქამდე არ აბრუნებენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იქნება იფიქროს ადამიანმა, რომ ალბად არა აქვთ შეძლება, ჯერ ან ადგილი ვერა უშოვნიათ-რა, ან, თუ უშოვნიათ, ისეთი მცირე, რომ ძნელად კუჭი გამოიძღონ, თორემ ვალის გადახდისათვის სად შეუძლიანთ ჯიბის შეტკივებაო, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, რომ 5—10 წლის განმავლობაში ორიოდ-სამიოდე თუმნის გადახდა ვერ მესძლებოდა თითოეულს. ვიმეორებთ, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ, როგორც საზოგადოების ანგარიშიდგანა სჩანს,

იგი ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ პირ-შავ მოვალეებს დააბრუნებინოს როგორმე ვალი: ჰკრებს ცნობებს იმათ საცხოვრებელ ადგილისას, წერილებსა და უწყებებს უგზავნის და სთხოვს, დაგვიბრუნეთ ვალი, ფული გვიჭირსო, მაგრამ ყოველივე ამ თავის მტვრევას ის შედეგი მოსდევს, რომ მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს აბრუნებენ ვალისას, 170,000 მანეთი-კი იმათზე რჩება და დღე ყოველ ჰმატულობს, ერთი-ორადა ხდება; 929 უნივერსიტეტს მოშორებულს მოვალეს შორის 1873 წლიდგან მოკიდებული 1883 წლამდე ვალის გადახდა მოუსურვებია მხოლოდ 121 კაცს, დანარჩენ 808 შორისკი 161 თხოვნა საზოგადოებისა უპასუხოდ დაუტოვებია (!), ხოლო 647 საცხოვრებელი ბინა არავინ იცის და დღესაც უკუნით არის მოცული.

აი ნამდვილი გარემოება საქმისა. მოდი და ამ ვაჟბატონებს ამას შემდეგაც განათლებულნი უწოდე, უმაღლეს სწავლა-დამთავრებულნი, მოწინავენი, მარილნი ამა ქვეყნისანი!? ვისაც არ შეუძლიან გადახდა, შეძლება არა აქვს, ხმა მაინც ამოიღოს, ბოდიში მაინც მოიხადოს საზოგადოების წინაშე, თორემ ხმის-ამოუღებლობა აქ რა არის, თუ არ სირცხვილეულად გაპარვა, თავის დაღწევა ისეთის ვალისაგან, რომლის გადუხდელობა ყველა პატიოსან ადამიანს ჩირქსა სცხებს და ლაქას ადებს? გაზეთი აღნიშნავს რა ამ გულ-საკლავს ამბავს, შემდეგს რჩევას აძლევს, დასასრულ, საზოგადოებას:

კარგი იქმნება, საყოველთაოდ გამოცხადებულ იქმნას სია იმ მოვალეებისა და ამ სიაშივე აღნიშნულ იყოს დრო მათ მიერ უნივერსიტეტიდგან გასვლისა და რაოდენობა ვალისა. ვისაც შეძლება არა აქვს ვალის გადახდისა, ხმას ამოიღებს მაინც, ხოლო იმათ-კი, რომელთაც შეძლება ხელს უწყობთ თავიდგან მოიშორონ ეს ვალი, შერცხვებათ, გადაიხდიან ამ ვალს და ამითი ეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ, უსინიდისო-კი არა, უთაურნი, უზრუნველნი და დაუდევარნი კაცნი არიან. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სტუდენტთა არა-საკადრისი საქციელი თვით უნივერსიტეტის განათლებასაც ლაქას ადებს. ეს ლაქა უნდა აეწმინდოთ, თუნდა ამით ზოგიერთ სტუდენტს უსიამოვნებაც მივაყენოთ მათის გვარის საჯაროდ გამოცხადებით. აქ ხათრი, მორიდება მით უფრო უადგილოა, რომ ეს ხათრი ზოგიერთთა მიმართ საერთოდ ყველა სტუდენტისათვის ვერაფრად სასიამოვნო და მოსაწონია, თითო-ორთლას დანაშაულის გამო ყველანი რად უნდა დაისაჯნენ? ეხლა-კი სწორედ ასე ხდება, რადგან საზოგადოება არა ჰფარავს და ყოველ წლივ აცხადებს, ზოგიერთი სტუდენტი ასე და ასე არა-საკადრისად მოგვექცაო. მაშ თუ აგრეა, დაასახელეთ მაინც, ვინ არიან ეგ ზოგიერთნი, სახელდობრ აღნიშნეთ ბრალეულნი, რომ უბრალოზედ არავინ შეიტანოს ეჭვი და ბრალეულად არავინ ჩასთვალოს.

სწორედ კარგი რჩევაა და კარგს იზამს კიდეც ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება, რომ ირწმუნოს გაზეთის ნარჩევი და ამ ნარჩევის თანახმად მოიქცეს. ხათრს ადგილი არა აქვს, ჩვენის აზრით, საზოგადო, საერთო საქმეში, მით უმეტეს, რომ სახათრო თითო-ოროლაა და საზოგადოებას-კი ყველა გაჭირებულისა და ხელ-მოკლეს შველა და დახმარება აძევს ვალად. ვისაც სიკეთის დანახვა არ შესძლებია, იმას ხათრს რა ემმაკი დაანახვებს. თუ ყველას შერცხვენა არ უნდა მაინცა და მაინც საზოგადოებას, იმათ მაინც ნუ გაუწევს დიდს ბოდიშს, რომელნიც უფრო ძველნი მოვალენი არიან და რომლებზედაც ცხრა-ათი წელიწადია ირიცხება ვალი.

## რუსეთი

კოზლოვში იქაური მღვდლის ციმბიროვის მოახლემ, თორმეტის წლის ქალმა კირეევისამ ქუჩაზე 5,600 მ. იპოვა და პოლიციაში წარადგინა. ეს ფულები დაჰკარგოდა მღვდელს არსტოვს, რომელმაც კირეევას საპოვნელი ხუთი მანეთი შეაძლია, მაგრამ ასე პატარა ჯილდო ამ დიდს საქმეში კირეევისამ არ იკაბულა და თხოულობს რომ საპოვნელად, როგორც კანონი აწესებს, მიეცეს მესამედი ნაწილი ნაპოვნი ფულებისა. საქმე სასამართლომ უნდა გადასწყვიტოს.

— ხარკოვის გაზეთები ამბობენ,

მონგრეულ უყვარულო ოთახებით. ერთს ამ ოთახთაგანში შევედით და, შესვლისათანავე, თვალებში გამეჩხირა უზარ-მაზარი ტლანქი, ლაშებ გადმობრუნებული, შავი, როგორც ნახშირი, ტახტზედ გაგორებული დედაკაცი.

— აი, დედაჩემი! მიიშვირა ქალმა ხელი ამ ჯადოსან დედაკაცისაკენ.

„ნუ თუ ეს ჯოჯო ამ მშვენიერების წყაროა!.. დახე ბუნების სიცელქე-კუდიანობას! ამ უმგზავსისთვის რა მშვენიერება უშობინებია!“ გავიფიქრე ჩემდა უნებურად.

მაჯლაჯუნას, სწორედ მაჯლაჯუნასა ჰგავდა, — წამოჯდა, გადაატრიალა ჩასისხლიანებული თვალები და ერთი ისეთი წამოიროუხრუხა, რომ გული გამიხეთქა.

— გოგო, აგრემც ბრაგვა გაქცევა, კოკა რა უყავი? იქნება გასტეხე!..

ქალი კარებს აეტუზა, მეც ყნა მუცელში ჩამივარდა; მაჯლაჯუნამ-კი ხელი ჯოხს წამოავლო და უნდოდა გოგოსთვის ესროლნა, მაგრამ მე მოვიკრიფე უკანასკნელი ძალა და დაუჭირე ხელი, თუმცა-კი მეშინოდა, რომ გოგოს მაგივრად ჩემთვის არ ეძრუზნა.

— ეს ვილა მოთრეულა და ხელს მიჭერს! გამიშვით, თორემ შენ მოგხვდება!

— მე... მე... სიტყვის თქმა ველარ მოვახერხე.

— შენდა ღვთის რისხვა, გაიგე თუ არა?

ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, დამიკარგა შიში და გული ამიმღვრია. ვგრძნობდი, რომ სისხლი თავში ამივარდა და თვალებში მომერია.

— რას რუხრუხებ, შე ქოფაკო, შენა?! შევუტიე და ერთი ისეთი დავწიე იმის მკლავს, რომ მაჯლაჯუნამ ტახტზედ ბრახვანი მოიღო.

— რა გინდა, შვილო, ჩემგან, რა დაგიშავე? დაბალის და მოლბილებულის ხმით მითხრა.

— ღმერთმა დამიფაროს შენი შვილობისაგან! არა, რო ღრიალებ, ვითომ ვინ გინდა შეაშინო! ჯერ გაიგე რისთვის მოვსულვარ და მერე ისე იროუხრუხე.

— რისთვის მოსულხარ, რატომ არ მეტყვი?! უფრო დაიმდაბლა ხმა,

— რისთვის მოვსულვარ?.. აი რისთვის: ამ ქალს ხელი არ ახლო, თორემა... ეხლავე.

— კრინტი გამიწყდეს, თუ ხმა გავცე!

ჩემმა ბრძანების კილომ ძალიან შეაშინა ეს რუხი და ჯოჯოხეთის მაშხალა დედაკაცი.

— კოკაც რომ გაეტეხნოს? ვკითხე მე.

კოკის ხსენებამ ბრაზები მოურია. უნდოდა დაეჭექნა, მაგრამ თავი შეიმაგრა და სიბრალულის ხმით დაიწყო:

— აბა შენ თითონ მითხარი, ნურაფერს ვეტყვი? ვინ იცის ეს რამდენი რამ გაუტეხნია. ხომ ჰხედავს შენი კაი თვალები, როგორა ვცხოვრობთ, საიდგან ან რითი ვიყიდი.

— ცემის შემდეგ კოკა გაგიმთელდება?..

— არ გამიმთელდება, მაგრამ...

— მაგრამს თავი დაანებე და ეს მითხარ: ხომ არაფერს ეტყვი.

— აკი გითხარ, ხმას არ გავცემ-მეთქი, ჩმუჩნით მითხრა. ალბად უნდოდა ჩქარა თავიდგან მოეშორებინე და მერე ამოეყარა ჯავრი.

— ის კოკა მე გავტეხე და აი იმისი ფასიც. ამოვიღე ერთი მანეთი და მივეცი, მაჯლაჯუნამ ფული სიხარულით გამომართვა.

— ეხლა ხომ აინაზღაურე კოკა? მაშ სიტყვა მომეცი, რომ შენს ქალს აღარას ეტყვი.

— წმინდა მარინე იყოს თავდები...

— ამას-კი ხელს ნუ ახლებ და თავდები ვინც გინდა დაიყენე, თორემ თუ გავიგე... ეხლა-კი მშვიდობით. ამ სიტყვებთან ერთად გამოველ გარედ. ეზოს კარებში ქალის ხმა შემომესმა. ის უკან გამომყოლოდა.

— ყმაწვილო, რატომ მე-კი არ გამომემშვიდობე?

მე შევდექი, ცოტა არ იყოს, იმისმა სიტყვებმა გამაწითლა.

— დედა შენმა ისე გამაბრაზა, რომ სულ დამავიწყდა.

— არა უშავს-რა! ეხლა გამომემშვიდობე. გამომიწოდა ხელი, რომელიც მე გრძნობით ჩამოვართვი. ქალი ხელზე საკოცნელად დამეწოდა, მაგრამ ნება არ მივეცი.

— ნუ, ნუ, ამაზედ უარს ნუ მეტყვი! მაშ მადლობა რითი გადაგიხადო?!

— აი რითი! მე მოვხვიე ხელი და მარწყვის ფერ ტუჩებში ვაკოცე.

— მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით, კეთილო ყმაწვილო! მითხრა იმან და კიდევ მომეხვია.

ჩავეკონეთ ერთმანეთს და ისე ვიყავით რამდენიმე ხანს. ამ სურათის მოწმად მარტო მინგრეულ მონგრეული ალაყაფის კარები იყო.

— შენი სახელი მაინც მითხარ! მთხოვა ქალმა.

— ჩემი სახელი თედოა, შენი?

— ჩემი — თამარ.

— თამარ, მშვიდობით!

— მშვიდობით თედო, გთხოვ, არ დამივიწყო!

— ჩემო თამარ, უეჭველად გნახავ თუ როდისმე ჩამოველ ტფილისს. ეხლა-კი სოფელში მივდივარ.

ამ სიტყვებით გავშორდით ერთმანეთს.

რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვგრძნობდი. თავ დაღმართი ისე ჩამოვიარე, რომ არა დამინახავს-რა, არც გამიგია, როგორ ჩამოველ. მარტო თამარი მეხატებოდა თვალ-წინ, მარტო ისა ტრიალებდა ჩემს თავში...

შ. არაგვის-პირელი

რომ ერთს დედაკაცს, გვარად კოსიაკოვს, ოთხი შვილი უშობნია. ერთი დაჰბადებია 24 იანვარს და დანარჩენი სამიც 27-ს. ეს დედაკაცი ჩვეულებრივი ტანისაა და ოთხივე ბავშვი ჯანსაღადა ჰყავს. საკვირველი ისაა, რომ ეს ბავშვები ტანადაც იმოდენა არიან, როგორც საზოგადოდ ახალ-დაბადებული ბავშვი.

— შადრინის საერო საბჭომ (პერმის გუბ.) ამ ხანად ერთი თავისებური განცხადება დაგზავნა სოფლებში. განცხადება ასე იწყება: „უფრთხილდით პურის მარცვლებს, რომ გაზაფხულზე დასათესი არ შემოგაკლდეთ! ეძებეთ სამუშაო, გაიჩინეთ საქმე! ცოტა იმედი გქონდეთ სესხის აღებისა, ხოლო დიდად გაუფრთხილდით ხორბალს!! სესხად აღებულის პურით ოჯახის გამოკვებას ნუ მოელით, რადგან პური შემოგველია და ფულიც შემოგვაკლდა, რომ ვიყიდოთ! ცუდათ მოიქცევით, თუ მთელს ზამთარს უქმად და გულ-ხელ-დაკრეფილი გაატარებთ და, რაც ოჯახში სურსათი მოგეძევებათ, შესჭამთ! ამას შემდეგ იცოდეთ ცალიერ-ტარიელი და მწუხარალ-მშიერი დარჩებით!“ და სხ.

— „Гражданинъ“-ი ელექტრონის შესახებ ისეთს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ელექტრონის სახელსა და ფასს ამცირებს. ამ ხანად—ამბობს ეს გაზეთი—სასახლის კედელში, სადაც ელექტრონის მავთული იყო გატარებული, ცეცხლი გაჩნდა მაშინ, როცა ოთახი დაკეტილი იყო. ეს მესამე შემთხვევაა, როცა ცეცხლის გაჩენის მიზეზი ელექტრონი ყოფილა. ამ ნაირად ელექტრონი არა თუ უზრუნველს არ ჰყოფს შენობას ცეცხლის გაჩენისაგან, არამედ ამ უბედურების მიზეზი თითონ არის. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, როცა დაკეტილს ოთახში ღამით ცეცხლი გაჩნდება. ამას გარდა ელექტრონს მეორე ცუდი თვისებაცა აქვს. ელექტრონის სინათლე აფუჭებს საათს, ხოლო თუ ელექტრონის სინათლე საათის მეხანიზმზე ასე ცუდად ჰმოქმედობს, რაღა თქმა უნდა, რომ ადამიანის აგებულებაც ამ სინათლეს უვნებლად ვერ გადურჩებაო.

## წვრილი ამბები

გულ-ახდილი პასუხი. საფრანგეთის მხატვარმა დეტაილმა, რომელმაც ბერლინის სამხატვრო გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, ერთს პარიჟელს მწერალს შემდეგი წერილი გაუგზავნა: „თქვენ სამართლიანად აღნიშნეთ უსიამოვნო მხარე ბერლინის გამოფენისა, რომლის გამო ამ ხანად ამდენი ლაპარაკი და აურზაური ასტეხა. მე და ჩემს ამხანაგთ გვინდოდა აგვესრულებია ისვალი მამულიშვილობისა, გამრამ მოვსტყუვდით. ყოველ ცისმარე დღეს ისეთი გულ-საკლავი და სალანძღავი წერილები მომდის, რომ არ ვიცი რა ვქნა და რა ვიფიქრო.

„გამიწიეთ შუამდგომლობა ამ პატივცემულ ვაჟბატონებთან, რომელნიც მეჩვის და უნდო თვალით მიცქერიან, და მოახსენეთ, რომ მე უარი ვთქვი და ახლაც უარს ვამბობ ბერლინის გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე. დღეს რასაც გეუბნებით, გეუბნებით მხოლოდ ჩემ მაგიერ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამხანაგნიც ამავე აზრის არიან“.

იმავე მწერალს ქვრივი გამოჩენილის მხატვრის მეისონიესი შემდეგსა სწერს: „მე მივიღე თქვენი გაზეთის ნომერი, რომელშიაც აცხადებთ სურვილს, შეიტყოთ აზრი განსვენებულის ჩემის ქმრისა ბერლინის გამოფენის შესახებ. მე იმისი აზრი ამ საგნის შესახებ კარგად ვიცი და დაუფარავადაც შემიძლიან განგიცხადოთ. მამულიშვილური გრძნობა ჩემის ქმრისა იმდენად ძლიერი და მაღალი იყო, რამდენადაც იმისი ნიჭი და გენიოსობა, ამიტომაც ის არაოდეს ისე არ დაიმცირებდა თავს, რომ ბერლინის გამოფენაში მონაწილეობა მიეღო. ამას ის გარემოებაც უნდა დავურთო საბუთად, რომ ფრანგ-გერმანელთა ომს შემდეგ ჩვენს სახლში ერთს გერმანელს არ შემოუდგამს ფეხი“.

ბულანჟეს მომხრეთა განცხადება. გაზეთს „Intransigeant“-ში ბულანჟეს მომხრეთ გერმანიის დედოფლის ყოფნის გამო პარიჟში შემდეგი განცხადება დაჰბეჭდეს: „მამულის შვილნო! ჩვენი გულითადი სურვილი იყო, რომ გერმანიის დედოფალს დაბრუნებისას ეამბნა იმპერატორისათვის, რასაც ვგრძნობთ და რასაც ვფიქრობთ იმათ შესახებ. გერმანელთა სურვილი შერიგების თაობაზედ ამაო შეიქნა და მით ღირსება ფრანგთა დაცული იქმნა. ჯერ ხანად ეს სრულიად საკმარისია. დღეს დედოფალი გაემგზავრება ჩვენის ქვეყნიდამ. მართალია იმან მეტის-მეტად ისარგებლა ჩვენი სტუმართ-მოყვარეობითა და თავმდაბლობით; მართალია, შეურაცხვყო ვერსალსა და სენკლუში წასვლით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ის დედაკაცია. დეე მშვიდობიანად გაემგზავროს თავის ქვეყანას. ნურავითარს უწესოებასსა და ურიგობას ნუ მოვახდენთ. გაუმარჯოს ელზას-ლოტარენს, გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს რუსეთს!“

ედისონი და იმისი უცნაურობა. ედისონს, რომელიც მის მიერ მოგონილის მანქანებით ქვეყნიერობას აკვირვებს, ამ ხანად კიდევ მოუგონია ერთი მანქანა. ეს მანქანა ელექტრონის შემწეობით თვალის დახამხამებაზე ახუჭუჭებს თმას.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ჩემს მიერ თიანეთში შეკრებულს 48 მან. 30 კაპ. განსვენებულ დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამასთანავე წარმოგიდგენთ სიას შემწირველთასაც და გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში: ბლაღოჩინი მღ. ი. კომორიძე 5 მან., თ. ალექსანდრე კაჩნაძე 1 მ., თ. ილია კაჩნაძე 1 მ., თ. ერასტი ჯანდიერი 1 მ., იასონ ცანავა 1 მ., გიორგი ნამორაძე 1 მ., გიორგი გოტიევი 1 მ., დავით ხიზანაშვილი 1 მ., თავ. რევაზ ჩოლაყაევი 2 მ., მღვდელი ი. ზარიძე 3 მ., მღ. ს. იმნაიშვილი 2 მ., მღ. რ. ზუკაკოვი 2 მ., მღ. ალექსი ბაკურიძე 2 მ., მღ. თ. ზუკაკოვი 2 მ., მღ. თ. ჯანელიძე 2 მ., მღ. მ. ჩხაიძე 2 მ., მღ. მ. სისაუროვი 1 მ., მღ. ს. სიდამონიძე 2 მ., მღ. დ. ნაცვალოვი 1 მ., მღ. დ. გოგოლაძე 1 მ., მღ. ზ. ჩალათოვი 1 მ., მღ. ი. მრევლოვი 1 მ., მღ. თ. მათურელოვი 1 მ., მღ. ო. მოსიევი 2 მ., მღ. ვ. როსტომოვი 1 მ., მღ. არტემ თვალოქროვი 1 მ., მღ. ანდრია ყალაბეგოვი 40 კ., მთავარ-დიაკვანი პეტრე გოგოლაძე 50 კ., მთავარ-დიაკვანი პაპა კორსაველი 40 კ., პრიჩეტნიკი ალექსანდრე კარსაველი 1 მ., პრიჩეტნიკი ქრისტესია შიოშვილი 1 მ., მთავარ დიაკვანი სუხიევი 1 მ., პრიჩეტნიკი სიმონ ზარიძე 40 კ., პრიჩეტნიკი დ. ბაიაშვილი 40 კ., პრიჩეტნიკი თ. ბოსიკაშვილი 20 კ., კირილე ჭავჭავაძე 1 მ. სულ 48 მან. 30 კაპ.

თიანეთის ბლაღ. მღვ. დ. ი. კომორიძე

## დეპეშა

28 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა კანონი, რომ საადრესო სტოლებზედ სამსახურის ნება ეძლევათ ქალებსაო.

ფულია გადადებული, კამჩატკას ეპარქიის თერთმეტ საეკკლესიო კრებულის საჯამაგიროდ.

უწმ. სინოდმა მისწერა ეპარქიების მღვდელ-მთავრებს, ყურადღება მიაქციეთ, რომ სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლებში პრაქტიკულად ასწავლიდნენ ბავშვებს ბაღოსნობასა და მებოსტნობას იმ მიწებზედ, რომელნიც მათ ეკუთვნისო.

ბუქარესტი. პალატა დათხოვნილია. ახალი არჩევანები ერთის თთვის შემდეგ დაიწყება.

24 თებერვალი

ბატავია. მემკვიდრე ცესარევიჩი მობრძანდა და ერთს კვირას აპირებს აქ დარჩენას.

პარიჟი. საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობანი მორიგდნენ ერთმანეთში და გადასწყვიტეს, რომ ოფიციალურად ნუ დაუკვდებიან და მიეგებებიან დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს ალჟირში, რათა არ მოიღალოს და არ მოიქანცოს მისი უმაღლესობაო.

25 თებერვალი

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა გვაცნობებს, რომ მოსვლისათანავე ბატავიაში, მემკვიდრე ცესარევიჩს დიდის ამბით მიეგებნენ გენერალ-გუბერნატორი მთავრობის წარმომადგენლები და ხალხი. 24 თებერვალს უნდა გასულიყვნენ შიდა კუნძულის ადგილებში.

„Нов. Вр.“-ს ცალკე ნომრების გაყიდვა აღკრძალულ იქმნა.

გაზ. „Пет. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო რჩევას დაუმტკიცებია საერთო წესდება სავაჭრო ამხანაგობათა დაარსებისა.

ტოკიოდამ «Нов. Вр.» ს დეპეშით აცნობებენ, რომ იქ უგურთხებიათ მართლ-მადიდებელთა საკრებულო ეკლესია, რომელიც რუსეთში შეკრებილ ფულით იქმნა აგებული.

გაზ. „Бирж. Вѣд.“-ი იუწყება: დამტკიცებულია ის პროექტი, რომ ბირჟაზედ მოსიარულე დალალებს მთელს რუსეთში უნდა გადასახადი დადოთ; განზრახულია დალალები 1-ლ გილდიის ვაჭრებად ჩაჰრიცხონ.

პეტერბურგის ბირჟა, 22 თებერვალი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | $136^3/_4$ | — „ | 137 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 228 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | $211^3/_4$ | — „ | $215^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღლონტიშვილის მიერ წიგნი I. „ 30
2) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . . . „ 80
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . . . „ 80
4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . . 1 25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . . . „ 15
6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
7) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . . „ 20
8) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. დავითაშვილისა . . . . „ 40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . „ 30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . „ 15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . „ 50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . „ 50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . „ 60
16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. „ 15
17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . 3 50
19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . „ 75
20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
21) იგივე უყდო . . . . . . . . . . . „ 60
22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . „ 20
25) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა „ 25
26) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . „ 10
27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
28) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . „ 40
29) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . . „ 5
30) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.


Тифлисъ, Дов. цен. 25-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.